



არაბატის პოლიტიკური მწვერვალიდან.

№

53

1920 წ.

დეკემბრის 12



პატრიარქი ნოე. (გაკვირვებული) ვააა, ინჩეს ტო! ასეთი ცხოველი როდის გამოვუშვი მე კილოზანიდან?!



ყარამანი

ქვეყანა კვლავმცა ტრიალებს, დე იტრიალოს ჯარამან!
 მთვარე შუქსა ჰფენს, მზე სხივებს, ფრქვევა არ დაიზარა მან.
 წვეს არხინად ჰაბუკი, ძილი ძმად შეიყვარა მან,
 წვეს გაშოთილი ჩრდილთა ქვეშ ქართველი ბიკი ყარამან.



სიზმრებს არ ჰხედავს ძილშიგან ყარამან გზათა პირელი,
 ამა უბანში ვაჟკაცად ბიკია სხვათა პირველი.
 ხარ-კამეჩს დასდევს, შეშას სჭრის, იმღერის გაუქირველი
 თვალწარმტაცი აქვს სამშობლო, არა სხვათაებრ მწირველი.

ლეგენდა

(ქესხე იმისა თუ რაგონ მთიანეს სცერა)

ძველი პური შეხვდა ახალს
 შეხვდა და ვაგთა...
 მიამახა—გენაცვალე
 ვგრე რამ გამოვაცეთა?..
 შეგყურებ და ველარა გცნობ,
 სახე სულ მთლად გამოგცვლია!..
 გიორგის მხეს გეფიცები,
 ვერ მიემხდარე არ რა მოგსელია!
 როგორც წესი მოითხოვდა,
 კეთილშობილი და ზრდილი:
 მის ახალი უბასუხებს
 დარცხენილი, ფერმისდილი:
 — მე კი ვფიქრობ ძველისაგან
 არაფრით არ განვირჩევი..

ძველებურად ცომი დამდევს,
 ვიღვებები, როგორც კევი.
 მცირე ხანი თუ დამყონდა
 ვქვედები ვით მარმარილო...
 — აბა, რატომ ლაპარაკობ
 ჩემო კარგო და კეთილო?!
 ვერა ხედავ, გენაცვალე,
 სახე როგორ დაგწმინდა?!
 აღარც ჩაღა გირვეია,
 აღარც ჩოთქი, არც მაგიდა;
 ერთქე კი დაგენაცვლოს
 და იგანე ჰავექანიძე.
 სასწაული შეგმთხვევია
 ისე გამოცვლილხარ პირზე!..
 აგარაკად ხომ არ იყავ
 ბახმაროს, ან აბასთუმანს?!
 შენისთანა პურში ახლა




სძინავს ბიჭს. ზეცა ლაყვარდი სახეს იბურავს შავადა.
მზე გაეხვია ღრუბლებში, გაჭკრა თვალსანახავადა.
დასკეკა. ეღვამ დასერა ღრუბელნი დასაწვავადა.
გამოეღვიძა ყარამანს, გული ეტკინა მწვავადა.

იძლევიან ცხრამეტ თუმანს.
— ღმერთო, ჩემო! ნუ თუ მართლა
ამგევართ ვარ გამოცვლილი?!..
ერთი კია... ახლა ჩვენთვის
მოიგონეს ბადე წვრილი.
ვგონებ „საცერს“ ეძახიან
გაბმული აქვს ცხენის ძუა...
და ამ სახის გათეთრება,
მისი ბრალი აღბად თუა.
— იმ ბადეში უნდა გაძვრეს
ყველა, ვისაც ზელენ ცომად?..
— რა თქმა უნდა!.. ჩოთქებისთვის *)
კი ვიწროა გაძრომათ...
— რა ეშმაკები არიან!!!
ნეტავ ეს ვინ მოიგონა?
— როგორ თუ ვინ? იმან ძმაო,
ვის ჭკუა აქვს თავის წონა.
აი, გეტყვი ერთ ლეგენდას
იქნებ სმენად მოგეწონოს.
ამდროინდელ ბულაკებივით
გატყუებდენ არ გეგონოს.

*) ზეპირ გადმოცემით ერთხელ თურმე გამომცხვარ
პატარაში გვარდილეებმა ჩოთქი აღმოაჩინეს.

„თურმე ერთი მინისტერი
აივანის იწვა პირად...
თვალნი ზეცად აღეღლინა
ლაყვარდ სივრცის განსამზირად.
იქ, ღრუბელთა ქარაფანი
მისცურავდა ლაღად, სრულად;
და მთის მკერდზე გროვდებოდა
საოცნებო ბაშბის ქულად.
— ოჰ, ნეტავი ის ღრუბლები,
ბაშბა იყოს დაპენტლი!
ეგროპაში გამეტანა,
იქ მოეცათ თეთრი ფეცილი!!
ესა სთქვა და ნატერის საგანს
თვალნი სიმწრით განაშორა;
და მოაპყრა სამზირალნი
უფრო ახლო, განა შორა.
ღირესა და ღირეს შუა
ნახა თვალთა არ ნახული!..
მწერსა, ვინმე ბოჩლორიკას
ბადე ჰქონდა გამართული!
ოსტატურად მოექსოვა
მწერს ის ბადე სანადირო,
მასში ზეცა გამოჰკრთოდა
ვით ფირუზის ზღვა უძირო!




მამულის არედ იხილა ბუჩქებში განასხვავები,
გაუმადლარი სვავ-სეუვი, უჯიშო ყორან-ყვავები.
მისდ სამტროდ და სამუხთლოდ უცხოთვან მონაშავები,
ეკვეთა ბიჭი ყარამან, დააყრევიან თავები.

სხივი მზისა ჰკრთოდა მასში
და ნიავე მას არხვედა...
მინისტრს, ამა სანახავმა
აურეკა გულსა სევედა!
— ნეტავ რისთვის გაუქიმავეს?!
ვის ერჩის, ან რას უქადის;
ის ცხრაფეხა ბუზანკალა
„ხაზენინი“ ამა ბადის?
სთქვა მან ეს და აბეზარი
ბუზი ცხვირსა განიშორა...
(ურცხვად ოფლსა რომ სწუწნიდა
უსაქმო და მუქთახორა.
ბუზი შლეგი, ბუზი მხეცი
დაფრთხა, ჯიქურ გაექანა...
გზად ხიფათი შეხვედებოდა
მოელოდა ამას განა?!)
გაექანა დანაფრთხობი
და ბედისგან განაწირი,
ღირეთ შორის მახეს მოხვედა
ვით სასირე ბადეს სირი.
ბადეს მოხვედა და გაემა...
ვიწრო დარჩა ვასაძრომი!
მყის ოზობაც დაეძგერა
მოდარაჯეთ ახლო მჯდომი.
და დაიწყო მუხანათმა
საქმე ბილწი, საქმე ავი...
ჯერ ბუზს სისხლი გამოსწოვა

და გააძრო შემდეგ ტყავი.
მინისტერი იქა მწოლი
კაცი იყო შორს გამქვერტი,
და მას ამა სანახავმა
არ კი დაუხვია რეტი
— აჰა!.. (სთქვა მან) მადლი უფალს
მადლი ასჯერ ასეული!
ღიდება მას, ვინაც თვალ წინ
მოახდინა სასწაული!..
აზრი მზიურ გამინათლად
თითქოს ახლად დავიბადე!!
დღესვე ებრძანებ: მომიქსოვონ
ქუისაგან მსგავსი ბადე!!.
ბრძანა და მყის მოაკვეცეს
ყველა ვირებს ძირში ძუა...
ასე ფხიზლობს და მუშაობს
ჩემო კარგო, კაცის ჰკუა.
— ამ ბადეში გვეცრიან ახლა...
ეწოდება მას „საცერი“,
სჩანს იმისი ბრალი არის
თუ მართლა მაქვს კარგი ფერი.

მორიელი



(1003-12)



ოდეს დაჰკვეთა თავები და გამობრუნდა ცარამან,
 შეჰხედდა... ნაცვლად პირველთა სხვა თავი დაიყარა მან.
 კვლავ მიუბრუნდა, უშველოს კობტად ნაჯახის ხმარა მან,
 შემუსრა. ვერ თუ იხმაროს ორგულმან უტიფარამან.

წითელი რკალი

ყრმა მსწრაფლ მოზარდი. გიჟი მამა. ვიწრო აკვანი.
 გუმბრში პოლოსა ოსმანასთან ზავს სწერდა როცა,—
 წითელ დელიჯანს კრძალვით შეხვდა აიასტანი...
 და მოსკოვის მზემ არარატის მწვერვალს აკოცა.

გრძელი ზღაპარი. ნაზი სევდა. კობტა თბილისი.
 სომეხი თათრის სადღეგრძელოს სევამ აზარფეშით...
 თათარმა სომეხს ჩაუტკბილა პირი ირისით
 და... უძილობა სკირს ჩრდილოეთს კოლხეთის ეშხით.

მსუქანი ცხვარი. შავი დეინო. თეთრი ღილაბი.
 ირგვლივ გვარტყია მძლავრი ცეცხლის მხურვალე რკალი.
 ბოროტ განზრახვას ვერ დაფარავს თეთრი ნილაბი
 და... ივერია არ გახდებდა სხვისი სათალი.

ყრმა მსწრაფლ მოზარდი. გიჟი მამა. ვიწრო აკვანი.
 გუმბრში პოლოსა ოსმანასთან ზავს სწერდა როცა,—
 წითელ დელიჯანს კრძალვით შეხვდა აიასტანი...
 და მოსკოვის მზემ არარატის მწვერვალს აკოცა.

d



წითელი რკალი



უკუ მობრუნდა ქაბუჯი უხვად ოფლ დანადგარები,
 უჭვრეტს... გამოჩნდა ორგული აწ კელამცა სხვათა გვარები,
 თავსა დასხმია, მამულის გადმოულახავთ მზღვარები.
 ეკვეთა გააფთრებული, დღე გაუთენა მწარები,

სადღეისო.

იუმორისტი გახლავარ,
 სახელათ მქვია აკილო.
 დაკინვის გულა ავაგსე
 და მინდა „მათრახს“ ავკილო.
 კარი გამიღე ეშმაკო,
 თუ გინდა ბევრი გაყილო.

სიდან დაეწყო, არ ვიცი,
 შევლო ვისი კარები,
 შიგ რომ შევიღე, ვაითუ
 გამიიმაჰქნან ძვალეები.
 სჯობია ისეგ აქ სადმე
 კარებსა მოვეფარები.

ხომ ხელავთ აგერ მაგილას
 რომ მოსჯდომია „ბარიშა“?
 გუშინ რომ საქმე მივეცი
 მან დღესაც ველარ ჩანიშნა.
 სარკეში ჭვრეტას მოუნდა,
 როგორც „მათრახმაც“ აღნიშნა.


ის ვაიცი, იქ რო ბოლთას სცემს,
 ღიდი მშრომელი კაცია.

ათზე შემოდის, პირველზე
 შინ მიდის „დანაქანცია“.
 იმისი შრომის სავანი
 ბრძანდება კოხტა ფაცია.

გარეთ კი ხალხი ბუზღუნებს,
 გადაქცეული გულადა,
 ან რა ქნას? მოთმინებისა
 ძაფი უწყდება სრულადა ..
 თუ კიღვე ასე გაგრძელდა,
 ვაჰთუ გავარდეს თულადა!

დღეს ეს იკმარე, ეშმაკო,
 შემდეგს მოგართმევ ხვალ კიღე.
 „მათრახის“ პირველ ფურცელზე
 ჩამოამწკრივე, აკიღე.

ხუმარა.





და შემობრუნდა. დამაშვრალს სახე უღიმის მზიანი,
 უხარის, მამულის ორგულმან ვერ მიუყენა ზიანი;
 უკუიხედა... იხილა თავნი შუბლ ვარსკვლავიანი,
 ნაჯახი დაუტრიალა, არე გასწმინდა ტყიანი.
 ყარამან ბიჭი, სამშობლოს ძუძუთი განაზარდია...
 პირამოა, მამულს პატრონობს, გულში არ შესდის დარია.
 სხვას არას ერჩის... მომხდურთან ბრძოლაში ავანგარდია.
 განმტკიცდეს!.. გარიცხვებრავალდეს ჩვენი სახალხო გვაღდია.

ეშმაკი

ბაბანაკი და სატუცარი*)

ჩვენი ერის „უფლება და ნებაში“. —
 სხლომა იყო, დამფუძნებელ კრებაში
 ხაღხმა, ერმა ვინც ვაბეულადა
 და ამ კრებას მიუჩინა მცველადა,
 დასასწრებლად კრებას მიიჩქაროდა,
 ზოგიც სწყყენდა, ზოგიც რამ უხაროდა.
 დარბაზისა რომ შველო კარები,
 ბაბანაკი, ქული, სატუცარები—
 გაიხადა, როგორც რიგი-წესია,
 თუმც იდგა იქ დარაჯების სესია;
 ჩამორთმევას ცდილობს თუმცა ფარეში
 მარა დარჩა ისიც სიმწუხარეში.
 „დამანებეთ... აქ დავტოვო განა-ო?!

მირჩვენია რომ წავიღო თანა-ო.
 სკამზე დავდებ ზედაც დავჯდები ო
 და მოპარვის შიშით არ მოვკვდები-ო“
 ბაბანაკი სკამზე დასდო ხენეშითა,
 სატუცარიც იქვე სკამის ქვეშითა.
 დაჯდა კიდევ ბაბანაკთან ბლოკითა
 ფეხ მორთხმული მუხლზე „კატელოკითა“,
 და თვალებით ყველას ემუქრებოდა
 (ზოგ ლოყებზე სიწითლვ არ ქრებოდა)
 მიზეზი ხომ ყველასათვის ცხადია?
ქუჩიშვილო! მეც დავცალე ბადია.
 აღვაფლინე ლოცვა სადღეგრძელოზე
 რომ „მან“ ბურთი მიიტანოს ლელოზე.

ბუტუნა.

(სიძინ მხიკვლევი)

*) ბაბანაკი — პალტო. სატუცარი — კალოში.

(ქაბანაკი)

მიტიუხას ოინები.

მიტიუხა პუსტოზგონოვი დამსახურებული კომუნისტი კაცია. ძველი მთავრობის დროს „ობ-რანკაში“ მუშაობდა, ახლა „ჩრეზვიჩაიკაში“ საქმიანობს.

მიტიუხა პუსტოზგონოვმა რუსეთის ყველა კუთხეებში მოსპო თავისუფლება და დასასრულ ჩვენს ქვეყანასაც ეწვია.—საქართველოც ისე უნდა გავანადგურო, როგორც თვალუწვდენელი რუსეთიო; ფიქრობდა მიტიუხა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოეყვანა სისრულეში თავისი განზრახვა.—უმჯობესია ტკბილი ენით მოვხაზო, დავიმეგობრო და შემდეგ დავაყენო შავი დღეო, გადასწყვიტა მან პირველ ყოვლისა. მივიდა საქართველოსთან და დაიწყო:




ჩემო თვალის სინათლევ და ძვირფასო მეზობელო! დაიწყო მიტიუხამ—შენ არ იცი რა ბედნიერი იქნებოდი ჩემთან რო ყოფილიყავ და ჩემი წესები შემოგედო. შენ იქნებოდი ჩვენი მზე, ჩვენი ვარსკვლავი. სულ ხელის გულზე გავოგმანებდით, შენზე ვილოცავდით; ყოველგვარ შენს თხოვნას ავასრულებდით და...

საქართველო. კმარა, კმარა მეზობელო. ჩემი თხოვნა მხოლოდ ერთია: თავი დამანებო, ჩემს მტრობასა და ორგულობაზე ხელი აიღო.

— ოპო! წარმოსთქვა შერცხენილმა მიტიუხამ.—ეს ისეთი ეშმაკი ვინმეა, რომ ტკბილი სიტყვებით უნნ ვერ გავალ. აქ სხვა ოინია საქირო.



— რაკი შენთან რჩევა დარიგება არ გადის, მაშ საუბრო ყოფილა ძალით გაგაბედნიერო! დასძახა მიტიუხამ და ხმალი იზიშვლა.




მაგრამ არც საქართველო დახვდა ვერაგ მგებობარს გულხელ დაკრეფილი. მახვილს მახვილით უპასუხა და კულამოძუებული შიტიუხა უკუიქცა.

როცა სული მოიბრუნა და დაისვენა შიტიუხა ახალი ოინის ძებნას შეუდგა. მან დახატა უზარ-მაზარი და საშიშარი საფრთხობელი ინგლისელისა, დადგა შორი ახლოს და გასძახა მგზობელს:



— შეხედე, რამოდენა „ბუა“ მოდის! ბათუმს შეგიკაშს, შენც შეგიკაშს და შენს შეილსაც. გამოიქეცი, ჩემს კალთებს შემოაფარე თავი, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!



დღამ შვილები გაზავნა. მიიღნენ, ნახეს და საფრთხე მართლაც საფრთხობელა გამოდგა. საფრთხობელას ზურგს უკან გამოძვრა შერცხვენილი მხატვარი მიტიუხა.

შექანყაღებულის ღექსები.

ჰა... ჰა... ჰა... ვიშ! რა დარია!..
 ცას ვადაკვრია ღრუბლები,
 შიშველ ხის ტოტზე დამხსდარან
 თეთრი კატები, კურდღლები.

სახლებს, ხეებს და წყაროებს
 ყინულის ხმლები ჰკილია...
 მოსულა თეთრი ღაშქარი...
 ომი ექნებათ დღია.

ამ ბებერ ზამთარს შეშხედეთ?! —
 — გვეტუმრა ახალ სტილითა...
 კბილებს კბილებზე ვაცეკვებ,
 დავრბივარ ასკინკილითა.

მინდვრებზე, მთებზე რატომ წევს
 ამდენი თეთრი ცხვრის ფარა...
 სინდისს ნამუსი გაეჭკა,
 და ფულებს ამოეფარა.

ერი, ჰა! რა დროს ეგ არის?!
 დღეს შეც კი მინდა ვიღობინო...
 მოეწოვო ყინვის ლოლუა,
 დავითვრე, დავიღიღინო...

დღეს ხომ გვარდის დღე არის!
 ვულკანს დღესასწაულსა,
 სახალხო—ხალხის გულისთვის
 რომ ახდენს დღეს-სწაულსა.

როცა საავდროთ ჩვენს ცაზე
 ღრუბლები იგრანებიან;
 ერის რჩეული შვილები,
 ბრძოლისა ეშხით ბნდებიან.

და თუ გაუწყრა მტერს ღმერთი,
 და საღმე დაიქაქანა.
 უჩვენებს ორგულთ ვით უნდა
 მწვავეთ ქოჩორის მოფხანა.


და განა ერთი, ან ორი
 ალაგმეს მტერი, ორგული?!
 ვინ უწყს სამშობლოს რამდენი
 ემსხვერპლა გმირი ლომ-გული...

თავისუფლების გმირებო!
 კვლავ ისმის მტრის კაცანია,
 აღბათ შესცივდათ, მოუნდათ
 აუწყვათ ზურგის კანია.

ზამთრის სუსხში ხართ შექმნილი,
 გაზაფხულს რომ მიგვაგებოთ...
 დღეს თქვენი დღეა, გმირებო!
 ტიქებში ღვინო ვაჩქეფოთ!..

თქვენ შემოგტყერის ქვეყანა...
 მოყვრის და მტრების თვლია...
 მრავალ ცეცხლში ხართ ნაწრთობი,
 მაგრადებით როგორც რვალია.

დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ,
 გვარდიელთ სადღეგრძელოა,
 ვუსურვოთ, კვლავ გაეტანოსთ
 როგორც აქამდე ლელოა...



იმედ გაცრუებული მიტიუხა ჩვეულებსამებრ სუფრას მიუჯდა. დაიდგა წინ ერთი „კვარტი“ პილატეს ცრემლი აზრის გასათბობათ და დაიწყო ფიქრი მომავალ ოინზე.

ჰარალო, თარი, ჰარალო...
მრავალ ეამიერ, გმირებო.—
ზედი ზედ შევესვამ ყანწებსა,
ტიქებსაც მოუზღირებო.

დავლიოთ ძმებო, დავლიო!?.
ბატყებს მფარველობს მგლებია.
ე, როგორ ვაგვიყირმიზდენ
თან და თან მგზობლებია.


ეს საცოდავი სომხეთი,
დაიქცა, მთლათ ვატიალდა...
ქემალმა მოსდო ბერკეტი,
რა უცებ გადატრიალდა!!

ვისაც რა სურდეს,—ჩაიცვას—
—წითელი თუნდ სხვა ფერია,
ჩვენ სხვის მიზანდა არ გვარგებს...
რა ჩვენი შესაფერია?!

ვაი, რას ჰხედავს თვალები!!
დახე უკულმართ დროსაო!!!
წითლებმა მთავარსარდლობა
უცებ უბოძეს ჰდროსაო.

ბებიჯანი კვერს თუ მომიტეხ,
მიბუტუტულ თვალში ვაკოცე:—
—ზანგეზურს ვიძღვნი, ყარაბაღს,
მთელად კი შე ვაგვაცოცებ...

შექანჯალებული.



(ი. იონიძე)

წვრილი აშხები

(მხოლოდ რკინისგულებსათვის).

ორი მიმდინარეობა.

ქუთაისის რკ. გზის კავშირის გამგეობის წევრთა შორის კონფლიქტი მოხდა.

ამის გამო ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი მიმდინარეობა ქორწილებში დადის, მეორე კი ნათლობებში.

თუ ფრონტის გაერთიანება არ მოხდა, მოსალოდნელია საქმის კიდევ უფრო გამწვავება.

„საწყალი ცხადაძე“.

მატარებლების ცნობილი რევიზორი ცხადაძე, რომელმაც მთელი თავის სიკაბუკე უბილეთო რკინისგზელების დევნას შეაღია, ამას წინათ კინადამ დაითხოვეს კონტრაბანდისტობისათვის, მაგრამ კეთილი ხალხის წყალობით დარჩა სამსახურში. ახლა კი, რატომ მინისტრის ვაგონს მატარებელი დააჯახეო, კიდევ დათხოვნიო ემუქრებიან, მაგრამ იმედი მაქვს კეთილი ხალხის მფარველობა არც ახლა მოაკლდება საწყალ ცხადაძეს.

ელმწერალი ბარამიძე.

ნაშაუდღევს ორი საათი იქნებოდა სამსახურში მძინარეს წაეწყდი ძლიერ გამოვიკირდა მუდამ სხვების დაუდევრობის მამხილებელის საკუთარი დაუდევრობა.

წასვლისას ბარამიძეს მარჯვენა ხელში სარედაქციო წერილი შევნიშნე, რომელიც ასე იწყებოდა: „კიდევ აბელაშვილის დაუდევრობა“.

გავწითლდი. მაგრამ სიწითლის აღმურმა იმისაც გადაჰკრა სახეზე და სიწითლე რომ დემალა მარცხენა ხელი დაიფარა.

კ. მწვანეყვავილეი.



წერილი რედაქციას.

„ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ჩემი სურათი, მოკლე წარწერით. შარკის შესახებ მე რასაკვირველია არაფერი მეთქმის, მაგრამ რაც შეეხება წარწერას, მისი გარკვეულათ აღნიშვნა დანაშაულად არ უნდა ჩამეთვალოს რომ მოვითხოვო.

მოგესხენებათ, მეგობართა და კეთილის მსურველთა გარეშე ყველა მოქალაქეს ჰყავს უმადური და არა კეთილისმსურველნი. მეც ასე გახლავარ. თქვენს წარწერაში ჩემმა მტრებმა საკმაო საბუთი დაინახეს ათასგვარი კორკბის შესათხზავათ და ჩემთვის სახელის გასატეხათ.

ამიტომ თუ მართლა თქვენს რედაქციას აქვს რაიმე საიდუმლო ცნობა ჩემს შესახებ და ამ ცნობაზეა აგებული შარკისა და მისი წარწერის მოთავსება, გთხოვთ გარკვეულათ დამისახელოთ მაინც რაშია საქმე. პატივისცემით პლ. თალაკვაძე.


რედაქციისგან.

ამ წერილის მიღებამ ღრმა საგონებელში ჩააგდო „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია.

ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ, თანამშრომელთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა შემდეგი:

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას აზრადაც არ მოსვლია მეგობრული შარკისა და უწყინარი წარწერის მოთავსებით პლატონ თალაკვაძისათვის შეურაცყოფა მიეყენებია და მით უმეტეს მისი ვერაგი მტრებისათვის საკორიკანო მასალა მიეცა.

მართალია კოპერატიულ დაწესებულებაში მოსამსახურე პირის ჩვენ ჟურნალში დახატვა ერთობ საფრთხილია, მაგრამ პლატონ თალაკვაძეს ჩვენი რედაქცია იმდენათ საიმედო მუშაკათ სთვლის, რომ წარმოიდგინეთ ამასაც არ შეუშინდა.



ამიტომ მთელი შემადგენლობა „ეშმაკის მათრახის“ რედაქციისა წარსდგა პლატონის წინაშე და ბოღიში მოიხადა უნებლიეთ მიყენებულ მწუხარების გამო.

იმედი გვაქვს პლატონი ჩვენზე გულს მოიბრუნებს და თუ ოდეს სიკვდილი უწერია თან არ ჩაიტანს ჩვენს სამღურავს.

ფ ე ლ ა მ უ შ ი

დათიკო დუნდუას

სწორედ იმ დროს მომივიდა პროფ. კავშირთა საბჭოს განკარგულება „ქუთაისში უნდა წახვიდე საბჭოს საქმეებზეო“ როცა დედაჩემისაგან წერილი მივიღე.


— საყვარელო შვილო!—მწერდა დედაჩემი სხვათა შორის—ყოველთვის გიყვარდა ფელამუში და ამ დროს აუცილებლივ ჩამოხვიდოდი. წრეულს

რისთვის დაგვივიწყე. შენი წილი ფელამუში შენახული მაქ და ვიცისო.“

ფელამუშის ხსენებაზე ნერწყვი პირში მომადგა. გადაწყვეტილი მქონდა უარი მეთქვა საბჭოსთვის ქუთაისში წასვლაზე, მაგრამ წერილმა გადაამფიქრებია. „ურია წყალს მიქონდა და გზაც იქით ქონდაო.“

კარგათ ვიცოდი რა ქაანწყვეტა გადამხდებოდა ბილეთის აღებაზე და ამიტომ საბჭოს გამოვართვი მოთხოვნილება. ერთზე აიოლოს მო-

ჭ ი დ ა ო ბ ა .



ა რ ი გ მ ი რ ი .

ორი გმირი დაიტაკნენ:
 ლევანი და დავითო,
 ლევან ამბობს: „ფრთხილად დავით,
 ფერხთ ქვეშ უნდა დაგიტორო“.
 დავითი კი უპასუხებს:
 „უკაცრავად, ვერ მოგართვი“.

განა ვერ გრძნობ, რომ დაგჯაბნე,
 პირველობა ჩამოგართვი“.
 და დავითურ სარმას უგდებს,
 ყირამალა ატრიალებს.
 ნეტა რა აქეთ გასაყოფი
 და სადაო ამ ტრიალებს?!—

ხუმარა.

ვაწერიე ხელი და მეორეზე დომ. ნაკაიძეს. ვიფიქრე ან ერთი გაქრის და ან მეორეთქო. არ შეგქამოს ჭირმა! ბათომის სადგურის უფროსი ახირებული კაცი გამოდგა, უკეთ ვთქვავთ „მიუდგომელი.“ ჩემთან ერთად რიგს გარეშე ბილეთების ასაღებათ რამდენიმე პირი ეწვია მის კაბინეტს. მორიგემ შეიტანა შიგ ჩვენი ქაღალდები და ცოტახნის (დაახლოვებით ორი საათის) ცდის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუციებით. მე ვთხოვედი 2 კლასის ბილეთს. ჩემს ქაღალდზე ეწერა: „მიეცეს მე-3 კლასის ბილეთი.“ მე პროტესტი განვაცხადე. მორიგემ გამოლო კარი და შემეყვანა უფროსის ოთახში.

— ბატონო სადგურის უფროსო, მივმართე, საბჭო მე 2 კლ. ვთხოვდათ და თქვენ მე-3 მიგიციათ.

— არ გახლავთ!

— დათეშიძისთვის არის და...

— მოწყალეო ხელმწიფევი; წარბეზის შექმუხვით მითხრა უფროსმა. მე უკეთ ვიცი ვის რა ერგება. დათეშიძე ბურჟუა და არ შეუძლია მე-3 კლასში ჩაჯდეს. თქვენ პროლეტარი ხართ და მიჩვეული ხართ მე-3 კლასს.

— „ჩემოც“ ბურჟუა?

— დიახ! „ჩემოც“. ხომ დაკმაყოფილდით? პროფესიონალურ კავშირებს მე 2-კლ. ბილეთი!..

მე სრულიად დაკმაყოფილებული მისი არგუმენტაციით გავეშურე სალაროსაკენ და ვიყიდე მე 3 კლ. ბილეთი.

მატარებლის წასვლას 1 1/2 უკლდა. სადგურის დარბაზი ისე იყო გაქედილი ხალხით, რომ

განძრევაც არ შეიძლებოდა. რის ვაივავლახით, შევძევებო დარბაზში. ვატყობდი, რომ ფეხები მიწას სცილდებოდა. რას ვიზამდი, მივყევი ისევ ხალხის ტალღას. საკმაო დახელების შემდეგ როგორც იქნა საპარიკმახეროში შევტეი.

ვიღაც ლამაზათ გაპარსული ყმაწვილი (თურმე ქორწილში იყო დაპატივებული) ადგა სკამიდან და დალაქს 20 მანეთი მისცა. დალაქმა მალეობა გადაუხადა. მე თვალევი ვაცეცე. ბათომის საპარიკმახეროში როცა 150 მან. გადაიხდი პირის მოსაპარს დალაქი ისე გიყურებს თითქოს გაგეცარცვოს.

ახლათ გაპარსული ვიყავი, მაგრამ ოც მანეთად გაპარსვამ შემაცდინა და დავჯექი. გაქაფა საჩქაროთ დალაქმა საპონი და მომისვა პირზე. ისეთი შეეკივლე, რომ დალაქს სასაზნე ხელიდან გაუფარდა, დარბაზში ორ-სამ ქალს გული შეუწყუბდა. უცბათ გაჩნდნ რკინის გზის მილიციონერები.

— გააფუქე ბიჭო კაცი? დაქერი შე ოხერო? მიადგენ დალაქს.

დალაქი-კი ტირილით ირწმუნებოდა:

— არა, ბატონო, ღმერთი-რჯული! არ დამიჭრია.

— სად დაგჭრა, ბატონო, შეკითხებოდა ერთი.

— დაჭრით არსად ბატონო, მაგრამ ისეთი ცივი საპონი წამისვა, რომ ლოყები სულ გამიყინა.

— შე მამაცხონებულო მაროკნით ხარ გაზდილი თუ რა დაგემართა... მაგისტვის იკივლე. შემომიკურთხეს ერთი ქრისტიანულათ მილიციონერებმა და გავიდნ დარბაზში ხალხის დასამშვიდებლათ.

ფერ წასულმა დალაქმა როგორც იქნა გამპარასა პირი.

— რამდენი გნებავს? შევეკითხე და თან ორი 10 მანეთიანი მოვიშხადე ხელში.

— 200 მანეთი, ბატონო.

ერთი კიდევ მინდოდა შეკვილა, მაგრამ მილიციონერების შემეშინდა და თავი შევიკავე.

— კი მაგრამ, ის ყმაწვილი...

— ის რკინის გზის მოსამსახურეა, ბნო.

გადვინადე 200 მან. მოპარსულ პირის გაპარსვაში და გავსწიე ვაგონებისაკენ. შენ არ მოუკვდე ჩემ თავს!

ყოველ ვაგონთან ორმაგი რიგი იყო: მარცხნიდან და მარჯვნიდან. დიდი წვალებით, ერთი საათის ცდის შემდეგ სრულიად გაწუწული შევედი ვაგონში.

ასე უსიამოვნოთ დაიწყო ჩემი მოგზაურობა, მაგრამ რაც ბათომის სადგურზე სიამოვნება დამაკლდა შემდეგ შევისრულე.

ყოველ სადგურზე ჩვენი მატარებელი ერთი საათით ისვენებდა. მეც ვადმოვდიოდი ვაგონიდან და შეკრებულ ხალხს მოხსენებას ვუკეთებდი სხვა და სხვა თემაზე.

ერთ-ერთ სადგურზე ვრცელი მოხსენება წავიკითხე იმის შესახებ, რომ სადგურის მორიგეს სრული უფლება აქვს იძინოს მატარებლის მოსვლისას და დროზე არ გაისტუმროს მატარებელი თუ კი ამ დროს კარტის სათამაშოთ არ არის წასული.

სადგურ კობიჯარში, სადაც მატარებელი 1 1/2 საათს იღვავ, თავი მოუყარე კონდუქტორებს და აუხსენი, რომ მათი საქციელი სწორეთ კანონიერია, უბილეთო მგზავრს ორმაგი ფასი უნდა გადახდევინონ, მაგრამ კანტორაში არ უნდა წარადგინონ. აკრფელი დული მცირე ჯამაგირის შესავსებათ მარცხენა ჯიბეში უნდა ჩაიწყონ.

განსაკუთრებით დიდი მოხსენების წაკითხვა დამჭირდა სად. მუხიანში. მოხსენება განსაკუთრებით კომისრის მოვალეობას შეეხებოდა. მაგალითად მეწისქვილე პარტიობით სიმინდს ღქვავს და გლეხს კი ერთი ფუთი ვერ დაუუქვავს. ვთქვათ, რომ ეს ამბავი საბამ ჩაიდანა. კომისარი მოვალეა საბა გამოიხმოს წისქვილში და ერთი ლაზათიანად მიბეგვოს. ხოლო რომ ხელი არ აუკანკალდეს და თოფის კონდახი მარჯვეთ ეჭიროს, უნდა გადაკრული იყვას. ეს უკანასკნელი თავის გასამართლებლათაც გამოადგება: „მთვრალი ვიყავი და მთვრალს ყველაფერი ეპატიება“, შეიძლება საბა ახლათ ნაოპერაციები იყოს და ვერ გადიტანოს „მასაიკი“, მაგრამ კომისარის რა ბრალია, რათ დაუქვა პარტიობით სიმინდი?

ამ მოხსენებას ერობის აქიმი ფხაკაძე დაესწრო. აქიშს სამი დღე არაფერი ექამა, ახლა ნახევარი ფუთი სიმინდი მიეჭანა წისქვილში დასაფ-

ქვავათ და ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ ჩემმა მოხსენებამ ისე დაინტერესა, რომ მატარებლის დაძვრამდე ბაქანს არ მოსცილებია.

მუხიანში შეცდომით მე-2 კლ. ვაგონში შევედი. მაგრამ ისეთ საინტერესო ხალხს წავეწყდი ვაგონში, რომ შეტომა არ მინანებია.

ჩემი ყურადღება სამმა ებრაელმა მიიპყრო. ტური ერთმანეთზე მიედოთ და ჩუმათ რალაცაზე გატაცებით მუსაიფობდნენ, ერთი მათგანი სახელით რაფაელი ეტყობოდა „მიღებული“ კაცი იყო. არ ვიცი ჩვენ მთავრობასთან რა დამოკიდებულებაშია, მაგრამ ებრაელთა საკონსტიტუციო კომისიაში, რომ შედის ეს აშკარაა.

რაფაელი არწმუნებდა ორ ამხანაგს, რომ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის გადატანის საქმე უკვე გაჩაღებულია. ერთი სადილი და სახლები დაკლილი იქნებოდა. ამის შემდეგ უფრო ჩუმათ დაიწყეს ლაპარაკი. მხოლოდ ცალ-ცალკე ფრაზებით მესმოდა.

— ე შენი სიძე ძაან ბიჭია, ვადაი. მისი ძმაი აღალმართალია, მარა ცოტა ლაყუა, სიძე კი ძაან ბიჭია, მოხერხებულია, ვადაი, მოხერხებული.

— 12 კაცი მევიყვანე. ვასვი, ვაქამე. აბა რაფა გინდა ვადაი, მანათს იგებ, შაური დახარჯე.

— ყველასთან გავკეთე ვადაი საქმე, ამ ბათუმში, მარა ე ვალოდია სულაქველიძეს ვერაფერი მოუხერხე.

— მილონი რო მისცე არ აიღებს. აგერ რაფიელი თუ მოგვიწყობს საქმეს.

— ჩემთვის ვადაი წყალში გადავირდება. გუშინ წინ რომ დავაქვინე ი ბიჭი.

— აი შენ კი გენაცაღე ვადაი...

ამ დროს მატარებელი გაჩერდა და დიდიხნის უნახავი მეგობარი ქუთაისმა გულში ჩაიკრა.

ათი ნაბიჯი არ გადამიდგამს ქუჩაზე, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ქალაქის გამგეობა თავის სიმაღლეზე იღვავ.

კოკის პირულით წვიმდა, მაგრამ ერთ ნამცეც ტალახსაც ვერ ნახავდით ქუჩაში. ქვაფენილები სწორეთ მოკიქვილებული.

პირველი ჩემი სურვილი, რასაკვირველია, ერობის ნახვა იყო. თუ შენობის ნახვა ქვია ერობის ნახვას, შე სურვილი შევისრულე, რადგან ერობის შენობა სადაც ერთი წლის წინეთ დავტოვე იქვე დამხვდა.

— სად არიან მოსამსახურეები, შევეკითხე ერთად-ერთ ობლათ დარჩენილ დარაჯს.

— აჯამეთში, ბატონო.

— ყველანი? იქ რას შვრებიან?

— ეერ გოუძლეს, ბატონო! ამისთანა გინახავს? გეიყინა ხალხი. ახლა გამგეობამ შეოთხელი საყენი შეშა მოგვცა და იმის დასატვირთავთ წავიდენ.

— კი მარა, კაცი, მუშებს დავატვირთეებდი.

— შენგან არ მიკვირს, ბატონო! ბიჭო, სამი

თვეა ჯამაგირი არ მიმიღია, მუშის ქირა სადაა. დალოცა ღმერთმა მუშათა მაგიდა ქე გვაძლევს დღეში სულზე 1/2 გირ. მკაღს თვარა შიმშილით ამოვწყდებოდით. ცოტა ცომი ქეა მკადი, მარა მშვიერი კაცი მაგას სად არჩევს.

ცოტა საქმე მქონდა საოლქო სასამართლოში და გავსწიე იქით. იქაური მოსამსახურეები აჯამეთში არ იყვენ წასული, მაგრამ ვაი იმისთანა ყოფნას. დახეული პალტოები, ძველ ქუდებზე შემოხვეული ბაშლაყი. ჩქარი ნაბიჯით, თითქოს სადმე უგვიანდებათო, დარბიან ერთი კუთხიდან მე-

ორესკენ. რომელსაც არ მივმართე ხმა არავინ გამცა. ბოლოს ვნახე ერთი ქალი (ვაცხონე მამამისი). მივეცი 500 მან. „ნაპულრუ“ („ნაჩი“ აღარაა მოღაში) და რამდენიმე საათში საქმე მზათ იყო.

ბოლოს საკმაოთ მოწყენილი გავემარუე შინსაკენ.

არასდროს ისე გემრიელი არ მჩვენებია დღე-ღამის გაკეცბული ფელამუში, რომ კოლის შერთვაზე არ დავწყო ლაპარაკი მგონი სამ სანს შევეკადი.

გრ. სლუჩანინი.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი

პაფე-საპანდიტარო **ოგანეზოვისა** პაფე-საპანდიტარო

სოლოლაკისა და პეტრე დიდის ქუჩების კუთხე, № 11 - 2.

ვისაც უყვარს: ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ნაღები (კაიმალი), თაფლი-ფიჭა, ჩაი მურაბით, მაწონი, რძე, ყავა, საღამოობით მორიგი შეკვამნდი ხორცეულობისაგან და მინერალური წყლებით მოზრძანდეს და მიირთვას ჩვენს კაფე-საკანდიტეროში.

ფასები სხვებთან შედარებით ააფა.

ფასები სხვებთან შედარებით ააფა.

პატივისცემით მ. ოგანეზოვი.

წ ი რ ე ლ ნ ა რ ი ს ს ო კ ა ნ ი რ ე ს ტ ო რ ა ნ ი

ერთადის ქუჩა (ყოფილი კრუზენშტერის)

„ს ი მ ა რ თ ლ ე“

სერბო კახეთელიძისა.

მზადდება ყოველ დღე გემრიელი ქართული საჭმელები.

ლ ა მ ფ ი ს შ უ შ ა ბ ი

მუდმივ მატარებელ ჩარჩოში

ყაღში დამზადება აკრძალულია

მთავარი საწეობა (ბითუმად, ცალ-ცალკე)

მთელი კავკასიისთვის არის

ნ. ლ გ ო ტ ა კ ი ს

მ ა ლ ა ხ ი ა შ ი

მისამართი: თბილისი, ოფდს ქუჩა № 3

საჭიროა ყველგან გამყიდველები

მხნეი ეტლებიხთვის და ხანარგა ავტომობილებისთვის.

4-4

ფ. დ. გოგელიძე

სამანუფაქტურა და სხვა

საქონლის გამყიდველი

პ ა ნ ტ ო რ ა

ღამე. კრების და ნიკოლაევის

ქუჩების კუთხე № 1


ჩრდილოეთის ნომრების წარდამბრ.

3-4.

ან გ ო რ ა შ ი.

„თათრები რუსის ბოლშევიკებს ძველი რუსული ჰიმნით შეეგებენ“.

(გაზეთებიდან)



თათარი. ეგ რანაირი „ჩესტის“ გაკეთება შემოულიათ რუსებს. წინეთ „ყურთან“ იღებდენ გაშლილ ხელს, ახლა კი ყურებში თითებს ირკობენ.

„ე ზ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ხ ი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ეველგან 50 მან.

ქურნალში დაიბეჭდება **გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ე ზ ი**
რედაქციაში შეიძლება შექმნა დღემდე გამოსული ნომრების. სელის მომწერლებმა ფული შექმდე მისამართით უნდა გამოგსაუნონ: თფილისი, რუსთაველის შროს-ზექტი, № 24. ეშმაკის მათრასისათვის. რედაქცია და კანტორა ღიანა 9—2 საათამდე.